ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საფირმო სახელწოდება)

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქ ჯვარის N5 საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: *მარიკა ანდღულაძე*

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *თამარ ლომიძე*

კვების დარგში ექსპერტი: *ნათია თოთაძე*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *მარინე გულუა*

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი
საიდენტიფიკაციო ნომერი	242741477
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)*	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)*	Management center of Pres-school Education institucions of Tsalenjikha MunicipalityMagda
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი წალენჯიხა, გამსახურდიას ქ. N9
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)*	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ჯვარი N5 საბავშვო ბაღი
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)*	
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	

დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐

4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი *(ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)*	2025 წლის 11 სექტემბრის გრძანება N1115490
ვიზიტის პერიოდი *(თარიღი)*	2025 წლის 8-9 ოქტომბერი

5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)

წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

N	პროგრამის სახე[1]	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)*	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ადრეული აღზრდისა და განათლების				

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

	პროგრამა				ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ არ ეთანხმება ☐
2	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში'' სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში''	ქართული		12
					ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ არ ეთანხმება ☐
3	სასკოლო მზაობის პროგრამა				
					ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ არ ეთანხმება ☐

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 11 სექტემბრის ბრძანება N1115490 საფუძველზე განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის წევრთა საავტორიზაციო ვიზიტი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N5 საბავშვო ბაღში. დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. საავტორიზაციო ვიზიტი დაიგეგმა 8-9 ოქტომბერს, 10 საათიდან 18 საათამდე, ერთსაათიანი შესვენებით. ექსპერტების მიერ დამატებითი დოკუმენტაცია ადგილზე ვიზიტისას იქნა შესწავლილი. ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. მოხდა დაწესებულების ვიზუალური

დათვალიერება, გასაუბრება, როგორც წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის (შემდეგში დაწესებულება) წარმომადგენლებთან, ასევე საბავშვო ბაღის თანამშრომლებთან.

ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ პირისპირ გასაუბრებოდნენ პასუხისმგებელ პირებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია შესაბამის სტანდარტთან დაკავშირებით. დღის ბოლოს ჯამდებოდა ვიზიტის დღე და შეფასების პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ გამოავლინა თანამშრომლობის კულტურა. დაწესებულების პერსონალს კარგად აქვს გააზრებული საკუთარი უფლება-მოვალეობანი, იცნობენ მიმდინარე სიახლეებს,რომელსაც ნერგავენ პრაქტიკაში, მზად არიან მუდმივი განვითარებისათვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის, რადგან თვლიან, რომ ამ პროცესში ბევრ სიახლეს ეცნობიან და ამდიდრებენ საკუთარ პრაქტიკა

.....
.....
.....
.....
.....

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....
.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....
.....
.....
.....

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	**დაწესებულების თვითშეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2] ***სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა*** ***(პროგრამის სახე)*** ***ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"*** ***(კურიკულუმის დასახელება)***		
2. კურიკულუმი	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება**

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☒ არ შეესაბამება**
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება	☐ შეესაბამება

	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7.ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს მისია, ხედვისა და ღირებულების ამსახველი დოკუმენტი - დანართი N1 სახით. მისია შემდეგნაირად ჟღერს: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის მისიაა მის სისტემაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 35 საბავშვო ბაღში უზრუნველყოს თანაბარი, ხარისხიანი და უსაფრთხო სკოლამდელი განათლება ყველა ბავშვისათვის. შერეულ ჯგუფებში ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ჩვენ ვაწვდით თითოეულს შესაძლებლობას განვითარდეს სრული პოტენციალით. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ სასკოლო მზაობის პროგრამის ეფექტიან განხორციელებას, რათა აღსაზრდელები მომზადებულები შეხვდნენ სკოლის ეტაპს.

დაწესებულების მისია შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან, ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და მიზნად ისახავს შექმნას ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები, რომელიც წარმოდგენილია დანართი N1-დოკუმენტის სახით.

დაწესებულების ხედვაა:

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ხედვაა შევქმნათ განვითარებაზე, მრავალფეროვნებასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ბაღების ქსელი, სადაც შერეულ ჯგუფებში სწავლა და აღზრდა წარიმართება თანამედროვე მიდგომებით, ხოლო სასკოლო მზაობის პროგრამა გახდება ბავშვის მომზადების მნიშვნელოვანი ბმული სკოლამდელ და დაწყებით განათლებას შორის. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი იმუშავებს ინკლუზიურობის პრინციპით და შეინარჩუნებს სამაგალითო გაერთიანების სტატუსს არა მარტო რეგიონის, არამედ ქვეყნის მასშტაბით.

დაწესებულების ღირებულებებია:

- ბავშვის კეთილდღეობა – ყველაფერს ვაკეთებთ ბავშვის უსაფრთხოებისა და ჰარმონიული განვითარების უზრუნველსაყოფად.
- თანასწორობა და ხელმისაწვდომობა – ყველა ბაღში ყველა ბავშვს აქვს განვითარების ერთნაირი შესაძლებლობა, მიუხედავად სოციალური ან გეოგრაფიული მდგომარეობისა.
- ინკლუზიურობა – ვაღიარებთ და ვაფასებთ განსხვავებებს, ვქმნით გარემოს ყველა ბავშვისათვის.
- გუნდური თანამშრომლობა – ვმუშაობთ გუნდურად პედაგოგებთან, მშობლებთან და ადგილობრივ თემთან.
- განათლების ხარისხი და პროფესიული ზრდა – მუდამ ვცდილობთ პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას, ინოვაციების დანერგვას და თვითგანვითარებას.

- საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა – ვიცნობთ ჩვენს როლს სოფლისა და ქალაქის თემების განვითარებაში და ვმოქმედებთ ეთიკურად და გამჭვირვალედ.

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან. ხედვაში ჩანს თუ რა მიმართულებით მიდის დაწესებულება, არის მარტივი და გასაგები, თუმცა არ ჩანს დროის პერიოდი, თუ რამდენ ხანში აპირებს დაწესებულება ხედვაში გაცხადებულ სასურველი მდგომარეობის მიღწევას.

ღირებულებებში გადმოცემულია ის პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც გეგმავს დაწესებულება მისიაში გაცხადებული მიზნების მიღწევას. ჩანს ბაღში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა, რომელთა დაცვითაც მუშაობენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია ხედვა იყოს მოკლე განაცხადი და განსაზღვრული, როგორც დაწესებულების სასურველი მისაღწევი მდგომარეობა დროის კონკრეტულ პერიოდისთვის.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 2 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ -ის შესაბამისად, დაწესებულებამ უზრუნველყო მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 თებერვლის N11 - მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანებით და 2025 წლის 15 იანვრის N2 - სტრატეგიული დაგეგმვისა მეთოდოლოგიის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანებით. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებულია როგორც ცენტრისა და ბაღის თანამშრომლებით, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელით. ზემოხსენებულმა სამუშაო ჯგუფმა მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებისთვის ჩაატარა სამუშაო შეხვედრა.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ამსახველ მტკიცებულებად წარმოდგენილია შეხვედრების ოქმი N1 და ოქმი N2, რომელიც ასახავს შემუშავების პროცესს. შეხვედრის დღის წესრიგი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. დაწესებულების მიერ მისია, ხედვა და ღირებულებების მნიშვნელობა და შემუშავება;
2. მისია, ხედვა და ღირებულებების საბოლოო სახით ჩამოყალიბება;
3. მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარების ფორმა და ადგილი.

სამუშაო ჯგუფმა შეხვედრისას მოახერხა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შექმნა და დამტკიცება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....

.....

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 2 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებულია „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“, სადაც, მე-7 და მე-9 მუხლების მიხედვით განსაზღვრულია დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტის გაზიარების საკომუნიკაციო არხები: ა) ელექტრონული ფოსტა; ბ) ღია შეხვედრები გ) სოციალური მედია; დ) საინფორმაციო დაფა

დაწესებულებას, აღნიშნულ რეგულაციაში განსაზღვრული საკომუნიკაციო არხები გამოყენებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებების დაინტერესებულ მხარეებთან გასაზიარებლად.

დაწესებულებაში ვიზიტისას, ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებულია საბავშვო ბაღის ფოიეში თვალსაჩინო ადგილზე. გაზიარებულია ელექტრონული ფოსტის, სოციალური მედიის (facebook) https://www.facebook.com/profile.php?id=100048263136639 საშუალებით, საბავშვო ბაღის პერსონალის და მშობლებისთვის მისი გაცნობა მოხდა დახურულ ჯგუფებში და ღია შეხვედრებზე (საინფორმაციო შეხვედრა, მშობელთა კრება, თანამშრომელთა კრება), რასაც ადასტურებს ბაღის პერსონალთან და მშობლებთან შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, მათგან მიღებული უკუკავშირი და ფოტოსურათები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N1 - მისია, ხედვა, ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი 2025 წლის 05.03.ბრძ. N25
2. დანართი N2 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 02.02. N5 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“;
3. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის მისიის, ხედვის, ღირებულებების (5.02.ბრძ. N11) შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება
4. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ს (15.01. ბრძ. N2) შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება
5. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N1;
6. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2;
7. https://www.facebook.com/profile.php?id=100048263136639
8. საბავშვო ბაღის საინფორმაციო დაფა;
9. თანამშრომლებთან და მშობლებთან შეხვედრის ოქმები

10. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ცენტრის დირექტორის 2025 წლის 2 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ .

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული გეგმის გაზიარების პროცედურები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ცვლილებების პროცედურები და სხვ. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მოიცავს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები და მათი ჩართულობის გზები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის 2025-2030 წწ ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 2 მაისის N41 ბრძანებით, ცენტრის დირექტორის მიერ. დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის მიერ ურთიერთთანამშრომლობით განისაზღვრა 6 სტრატეგიული მიზანი შესაბამისი ამოცანებით.

სტრატეგიული მიზნები:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა (გაწერილია 3 ამოცანა)
2. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (გაწერილია 3 ამოცანა)
3. განათლების ინკლუზია (გაწერილია 5 ამოცანა)
4. პარტნიორული ურთიერთობის ფორმირება მშობლებთან ბაღის საქმიანობის დაგეგმვისა და გაუმჯობესების მიზნით (გაწერილია 3 ამოცანა)
5. ბავშვის ასაკობრივი საჭიროებების გათვალისწინებით, საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად ჯანსაღი, უსაფრთხო და მრავალფეროვანი კვების ორგანიზება და მართვა საბავშვო ბაღის ყველა ერთეულში (გაწერილია 4 ამოცანა)

6. საქართველოს ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმების ეფექტიანი დანერგვა საბავშვო ბაღის ყოველდღიურ საქმიანობაში, უსაფრთხო და სუფთა გარემოს უზრუნველსაყოფად (გაწერილია 5 ამოცანა)

წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიული გეგმის ციკლურობა დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის ჩანაწერებით, შემუშავების პროცესის, პერიოდულობის, მონიტორინგისა თუ შეფასების მექანიზმის განსაზღვრით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ცენტრის დირექტორის 2025 წლის 2 მაისის N41 ბრძანებით დამტკიცებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მორგებულია ერთ სასწავლო/სააღმზრდელო წელზე და ეფუძნება სტრატეგიულ გეგმასა და „სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგის და შეფასების წესს“. (გაერთიანების დირექტორის 02.02. N5 ბრძანება, დანართი N2 მუხლი 12). ერთწლიანი გეგმა წარმოდგენილია ბაღების გაერთიანებაში შემავალი ყველა ბაღისთვის, მაგრამ ცალკე არ არის დამტკიცებული კონკრეტული ბაღის სამოქმედო გეგმა და აქ გაწერილი თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრული არ არის ის კონკრეტული ბაღი/ბაღები, რომელთათვის რელევანტური იქნება კონკრეტული აქტივობის შესრულება, თუმცა

სამოქმედო გეგმას თან ერთვის განმარტებითი ბარათი, რომელშიც მითითებულია, რომ წინამდებარე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს ცენტრის სტრატეგიული გეგმიდან, ცენტრის მისიიდან და ცენტრის სამოქმედო გეგმიდან და რომ მასში ასახულია ცენტრის რომელი სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი აქტივობები უნდა შესრულდეს კონკრეტულად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ჯვარის N5 საბავშვო ბაღში

სამოქმედო გეგმა შემუშავდა შემდეგი ეტაპების შესაბამისად: ა) სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება საბავშვო ბაღის ადმინისტრაციის უფროსის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ; ბ) სამოქმედო გეგმის პროექტის გაზიარება დაინტერესებული მხარეებისათვის, კერძოდ დაწესებულების პერსონალისა და მშობლებისთვის; გ) მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება; დ) სამოქმედო გეგმის პროექტის საბოლოო სახით ფორმირება, გაერთიანების მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მომზადება და დამტკიცება გაერთიანების დირექტორის მიერ, რაც დასტურდება მეთოდოლოგიითა და გაერთიანების წარმომადგენელთან, საბავშვო ბაღის გამგესთან ინტერვიუებით. სამოქმედო გეგმის ამოცანები ფარავს სტრატეგიული გეგმის მიზნებს. გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულების აქამდე არ ქონია სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი, ხოლო სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2025 წლის 2 მაისს, არ არის დაფუძნებული დაწესებულების თვითშეფასებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია, ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილ თითოეულ აქტივობებზე მითითებული იყოს ის კონკრეტული ბაღები, რომელთათვის რელევანტური იქნება კონკრეტული აქტივობის შესრულება, ასევე ბაღის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებული იყოს ცალკე ბრძანებით.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო კომპონენტებს. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობები შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. გაწერილი აქტივობების შესრულების ნაწილში, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია, შესრულების ინდიკატორების გრაფა, თითოეული აქტივობებზე გაწერილია ვადები, რომელიც რეალისტურობის საფუძველს იძლევა. თითოეულ აქტივობას ყავს პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული. აქტივობათა განხორციელებისთვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფა რეალისტურია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

- სასურველია, რომ პასუხისმგებელი პირები იდენტური იყოს ცენტრის მიერ დამტკიცებული ერთიან სამოქმედო გეგმასა და საბავშვო ბაღის სამოქმედო გეგმებში.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ცენტრის დირექტორის 2 თებერვლის N5 ბრძანებით ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი". ამ წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ორჯერ: შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს. ამავე წესის (მუხლი 14, მე-4 პუნქტი) მიხედვით, დაწესებულება განახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კვარტალურად, ხოლო შეფასებას წლიურად. ამავე წესში გაწერილია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს კოორდინაციას გაუწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ 2025-2030 სტრატეგიული განვითარების და 2025-2026 წწ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცდა 2025 წლის 2 მაისს N41 ბრძანებით, შესაბამისად სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის

განხორციელების პერიოდი ჯერ არ დასრულებულა. 2025 წლის 2 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის თანახმად, დაწესებულება საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს აფორმებს ნარატიული სახით და განათავსებს გაერთიანების სოციალურ გვერდსა და ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N2 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 2 თებერვლის N5 ბრძანებით დამტკიცებული ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი;
2. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 თებერვლის N11 ბრძანება მისიის, ხედვის, ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

3. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N31 ბრძანება სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
4. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N1;
5. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N2;
6. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N3;
7. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N4;
8. დანართი N3 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 2 მაისის N41 ბრძანება 2025-2030 წლის სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
9. შენობის ვიზუალური დათვალიერება
10. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი [3]
პროგრამის სახე

[3]მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

კურიკულუმის დასახელება

1) ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"

2) სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

სავალდებულო დანართებში (დანართი N4; დანართი N4ა) წარმოდგენილია-

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის (პირველი და მეორე ნაწილი);
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში" პირველი ნაწილი;
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში" მეორე ნაწილი;

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია, ა(ა)იპ ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანება N42 (2 მაისი 2025 წ.) - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის სისტემაში შემავალი საბავშვო ბაღების დეკლარირებული კურიკულუმის დამტკიცების შესახებ;

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანება N43 (05 მაისი 2025წ.) - საბავშვო ბაღების სასკოლო მზაობის დეკლარირებული კურიკულუმის დამტკიცების შესახებ;

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანება N45 (05 მაისი 2025წ.) - საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანება N30 (20 მარტი, 2025 წ.) - საბავშვო ბაღების კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;

წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს, რომ კურიკულუმი, რომლითაც დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ არის შერჩეული.

მარეგულირებელი წესის, მუხლი 2. კურიკულუმის შერჩევა-ს თანახმად: კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა;

ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა;

გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა;

დ) კურიკულუმის/კურიკულუმების დამტკიცება.

ამავე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ეტაპის განხორციელებისათვის, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება კურიკულუმის შერჩევაზე სამუშაო ჯგუფი.

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანება N33 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის სისტემაში შემავალი საბავშვო ბაღების კურიკულუმის შესარჩევი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (3 აპრილი 2025 წ.)

დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანება N34 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის სისტემაში შემავალი საბავშვო ბაღების სასკოლო მზაობის კურიკულუმის შესარჩევი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (4 აპრილი 2025 წ.)

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ოქმი N5 (4 აპრილი, 2025 წ.)

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის (პირველი და მეორე ნაწილი);
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ პირველი ნაწილი;
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ მეორე ნაწილი;

კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს. კერძოდ, ბავშვის აღზრდისა და

განათლების სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი და წესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს (პროგრამის ხარისხის სტანდარტი), რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებსაც, როგორიცაა – ოჯახის და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის (პირველი და მეორე ნაწილი);
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ პირველი ნაწილი;
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ მეორე ნაწილი;

თამაში ამ კურიკულუმის განხორციელების უმთავრესი საშუალებაა. ბავშვზე ცენტრირებული მიდგომის შესაბამისად, ბავშვი მისი სწავლის ცენტრალური ფიგურაა, სადაც უფროსი მის ინტერესს მიჰყვება, ხელს უწყობს სწავლისა და განვითარების ბუნებრივ პროცესს და თავს არ ახვევს

რა გააკეთოს. ეს მიდგომა ხელს უწყობს ბავშვების ცნობისმოყვარეობის, ინტერესის გაღვივებას, ზრდის მოტივაციას და სწავლის შინაგან სურვილს. სწავლა და განვითარება მრავალფეროვან სივრცეებში მონაწილეობით და ჩართულობით ხდება. შემოქმედებითად და გააზრებულად მოწყობილი სივრცეები ხელს უწყობს თამაშით კვლევას, რომელიც ერთდროულად უსაფრთხოც არის და ზომიერ სირთულეებს და რისკსაც მოიცავს.

ზემოაღნიშნული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:

- ✓ ბავშვებს აქვთ თავისუფალი არჩევანი სასურველი აქტივობების შერჩევისას, თემის შერჩევისას დაცულია ბალანსი, ბავშვის მიერ და უფროსის მიერ შერჩეულ თემათა შორის. კურიკულუმის მიზანია, ბავშვებმა თავად მოიძიონ კონფლიქტის გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- ✓ სივრცე ნაწილობრივ არის დაყოფილი ცენტრებად, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სხვადასხვა ტიპის თამაშისთვის;
- ✓ თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმის ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის (პირველი და მეორე ნაწილი);
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ პირველი ნაწილი;
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ მეორე ნაწილი;

დაწესებულების მიერ შერჩეული ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“- ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური რესურსების გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და საჭიროებების გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის (პირველი და მეორე ნაწილი);

- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ პირველი ნაწილი;
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ მეორე ნაწილი;

კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან საქმიანობებს, რომელიც მოიცავს თამაშებს, აქტივობებს, საუბარს, წიგნებთან ურთიერთობას, მოსმენას, დაკვირვებას, კვლევა-აღმოჩენას, ექსპერიმენტირებას და შემოქმედებით საქმიანობებს. მრავალფეროვანი მასალების გამოყენება ხორციელდება ბავშვების ასაკის, ინდივიდუალური მახასიათებლების, ინტერესების, ძლიერი მხარეების, საჭიროებების, სწავლის სტილისა და განვითარების გათვალისწინებით.

თამაშის ტიპების მრავალფეროვნება: კურიკულუმი უზრუნველყოფს განსხვავებული ტიპის თამაშებს და საქმიანობებს: სენსორულ თამაშებს, დრამატულ/წარმოსახვით თამაშებს, კვლევით, მანიპულაციურ, კონსტრუქციულ, ჭუჭყიან, სამაგიდო, მოძრავ, რისკიან, კულინარიულ თამაშებს და სხვა. სათამაშო სივრცეების ორგანიზება: დაწესებულებაში ორგანიზებულია სხვადასხვა ტიპის სათამაშო სივრცეები: ხელოვნების სივრცე, კვლევებისა და მეცნიერების სივრცე, სენსორული სივრცე, კუბურებისა და კონსტრუქციული სივრცე, წიგნიერებისა და წყნარი/განმარტოების სივრცე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის (პირველი და მეორე ნაწილი);
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ პირველი ნაწილი;
- ✓ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ მეორე ნაწილი;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს დირექტორის ბრძანება N30 (20 მარტი, 2025 წ.) - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის სისტემაში შემავალი საბავშვო ბაღების კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;

მარეგულირებელი წესის, მუხლი 3. - კურიკულუმის გაზიარება-ს თანახმად:

1. დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს.
2. ამ მუხლის მიზნებისთვის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ: ა) მშობლები; ბ) დაწესებულების პერსონალი; გ) თემი/მუნიციპალიტეტი; დ) სხვ.
3. დაწესებულების კურიკულუმ(ებ)ის გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს;

დაწესებულება პრაქტიკაში აქვს ოქმების წარმოება. ადგილზე წარმოადგინა თანამშრომლებთან და მშობლებთან შეხვედრების ოქმები. თემა: კურიკულუმის გაცნობა/გაზიარება; ადრეული განათლების კურიკულუმ ,,თამაშის“ (1-2 ნაწილი) მნიშვნელობა და შინაარსობრივი მხარის გაცნობა; (09.2025წ). ყველა ოქმი დასურათებულია;

დაწესებულებამ წარმოადგინა სოციალური ქსელის ბმული, სადაც ატვირთულია საგანმანათლებლო პერსონალთან, კურიკულუმის გაზიარების მიზნით ჩანიშნული შეხვედრის დამადასტურებელი ფოტო/ვიდეო მასალა;

https://www.facebook.com/profile.php?id=100048263136639&rdid=drDI4p9mKJNRvD5U&share_url=https%3A%2F%2Fwww.facebook.com%2Fshare%2F1BBRdoxivR%2F#

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N5 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 20 მარტის ბრძანება N30 დამტკიცებული საბავშვო ბაღების კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
2. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 3 აპრილის ბრძანება N33 - საბავშვო ბაღების კურიკულუმის შესარჩევი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
3. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 4 აპრილის ბრძანება N34 - საბავშვო ბაღების სასკოლო მზაობის კურიკულუმის შესარჩევი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
4. დანართი N4 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 2 მაისის ბრძანება N42 საბავშვო ბაღების დეკლარირებული კურიკულუმის დამტკიცების შესახებ;

5. დანართი N4 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 5 მაისის ბრძანება N43 საბავშვო ბაღების სასკოლო მზაობის დეკლარირებული კურიკულუმის დამტკიცების შესახებ;
6. დანართი N6 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 5 მაისის ბრძანება N45 საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ;
7. ოქმები;
8. კურიკულუმის გაზიარების ამსახველი დოკუმენტები/ოქმები/ფოტო-ვიდეო მასალა.

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს დამტკიცებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის ბრძანება N45

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა -ს თანახმად:

1. საგანმანათლებელო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომ - გეგმა/გეგმები).
2. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და გრძელვადიანი (კვარტალური) და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის მოთხოვნებს.
3. გრძელვადიანი გეგმა იქმნება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი.
4. მოკლევადიანი გეგმა იქნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს მეთოდისტი.
5. დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ა) ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები; ბ) ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები; გ) თამაშზე ორიენტირებული პროცესი; დ) სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა; ე) ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.

დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლოის 30 სექტემბრის ბრძანება N107 - ქალაქ ჯვარის N5 საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების დამტკიცების შესახებ

ადგილზე ვიზიტისას საგანმანათლებლო პერსონალმა წარმოადგინა წარმოებული მოკლევადიანი (ყოველკვირეული) და ასევე გრძელვადიანი (ერთწლიანი) გეგმის ფორმები.

მარეგულირებელი წესის თანახმად, მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესს მეთვალყურეობს მეთოდისტი. მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა, ცენტრის დირექტორის 2025 წლის 30 სექტემბრის ბრძანება N112 - ქალაქ ჯვარის N5 საბავშვო ბაღის მეთოდისტის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს დამტკიცებული აქვს, (დირექტორის ბრძანება N45, 05 მაისი 2025 წ.) - საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი;

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დანერგვა, მეოთხე პუნქტის თანახმად: მოკლევადიანი გეგმა იქნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს მეთოდისტი.

ადგილზე ვიზიტისას, გამგესთან, მეთოდისტთან და აღმზრდელთან ინტერვიუდან ვიღებთ ინფორმაციას, რომ საგანმანათლებლო პროცესს გუნდი გეგმავს ერთად, ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ასევე ადგილზე წარმოდგენილი მოკლევადიანი/გრძელვადიანი გეგმის ბადეში, ფიქსირდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პერსონალის ხელმოწერის ველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N45 ბრძანებით.

მარეგულირებელი წესში, მუხლი 10. პორტფოლიოს წარმოება - თანახმად, დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი აწარმოებს შემდეგი ტიპის დოკუმენტაციას:

- ბავშვების ინდივიდუალურ პორტფოლიო;
- აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიოს;
- აღმზრდელის პორტფოლიოს;

- მეთოდისტის პორტფოლიოს.

აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) დღის განრიგი;

ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;

გ) რეფლექსური ჩანაწერები.

ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები;

ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები;

გ)ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს; ბავშვის მონაწილეობის შესახებ აუდიო/ვიდეო ჩანაწერები.

მეთოდისტის პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს;

ა) დღის განრიგი;

ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები;

გ) აქტივობის რეფლექსური ჩანაწერები;

დ) საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგის მასალები.

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც ვლინდება იმაში, რომ: დღის განრიგში გათვალისწინებულია ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. დაცულია ბალანსი აღმზრდელის მიერ ინიცირებულ და ბავშვის მიერ ინიცირებულ თამაშებს შორის, წყნარ და მოძრავ თამაშებს შორის, მცირე და დიდი ჯგუფის აქტივობებს შორის. მოკლევადიანი გეგმის ფორმებში, ცალკეა ინდივიდუალიზაციის და რეფლექსური ჩანაწერებითვის ველი გამოყოფილი.

აღმზრდელ-პედაგოგის გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები დამტკიცებულია ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის” დირექტორის მიერ 2025 წლის 30 სექტემბრის N107 ბრძანებით.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 30 სექტემბრის ბრძანება N112 - ქალაქ ჯვარის N5 საბავშვო ბაღის მეთოდისტის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N45 ბრძანებით.

მარეგულირებელ წესში მუხლი 8- ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები - ს თანახმად:

1. საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისთვის, დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა.
2. დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ შემდეგ მეთოდებს:

ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;

ბ) მოკლე კითხვარები;

გ) ჩექლისტები;

დ) სკალები;

ე) ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები.

3. შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით;

წესის თანახმად, შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით. მტკიცებულებად დანართი N1 თანდართულია ,,ბავშვის შეფასების ფორმა", თუმცა ფორმა არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. რადგან არ არის ველი, სადაც დატანილი იქნება ინფორმაცია, ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების შესახებ, არ არის ველი ბავშვის განვითარების სფეროების მიხედვით შეფასებისთვის. ფორმაში მხოლოდ განსაზღვრულია შეფასების მიზანი, განმახორციელებელი, განხორციელების სიხშირე, შესაძლო მტკიცებულება, ტიპი; საგანმანათლებლო პერსონალმა, ადგილზე ვიზიტისას მტკიცებულებად წარადგინა ,,განვითარების კითხვარი ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით", ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის, მაგრამ აღნიშნული ჩექ-ლისტები არ არის დამტკიცებული წესის თანახმად.

ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულებამ ასევე ვერ წარმოადგინა, ბრძანებით დამტკიცებული ბავშვზე დაკვირვების ფორმები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული ბავშვზე დაკვირვების და შეფასების ფორმები, რომელიც უნდა ასახავდეს ჯგუფის საჭიროებებს/ინტერესებს და დამტკიცდეს ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის მიერ ბრძანებით.

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის გამოსწორებისათვის შესაბამისობის გეგმა. კერძოდ, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულება შეიმუშავებს მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულ ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმებს, რომელშიც ასახული იქნება ველი, სადაც იქნება ინფორმაცია ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და და ძლიერი მხარეების შესახებ. ასევე ველი ბავშვის განვითარების სფეროების მიხედვით შეფასებისათვის და დამტკიცდება ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის მიერ ბრძანებით. წარმოდგენილი შესამაბისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 10/02/2026 წელი. აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა წარმოდგენილი პოზიცია და სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება იმაში, რომ დღის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების დიდი ნაწილი ხორციელდება თამაშის სხვადასხვა ფორმით, საგანმანათლებლო მიზნები ინტეგრირებულია თამაშში ისე, რომ ბავშვები ვითარდებიან და სწავლობენ ბუნებრივ, სახალისო და მოტივირებულ გარემოში. ეს დასტურდება დღის განრიგით.

ბავშვების სივრციდან სივრცეში გადასვლა, ტრანზიციები წარიმართება თამაშის ელემენტებით: გამოიყენება სიმღერა, ცეკვა, გათვლები, თითებით თამაში. ტრანზიცია წინასწარ პროგნოზირებულია საგანმანათლებლო პერსონალის მიერ და აღქმულია თამაშის გაგრძელებად და არა მკვეთრ გადართვად. ეს დასტურდება გარემოს ვიზუალური დათვალიერებით, მეთოდისტთან და აღმზრდელთან ინტერვიუს საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მეთოდისტთან, აღმზრდელთან ინტერვიუს და გარემოს ვიზუალური დათვალიერების შედეგად ჯგუფურ ოთახებში არსებული რესურსის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა. გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას იკვეთება, რომ ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ ეზოში თავისუფალი, ორგანიზებული თამაშების შესაძლებლობა. ბაღის ეზოში განლაგებულია - გასაძრომი კონსტრუქცია, ერთი (მცირე ზომის) სასრიალო, ბალანსი, განთავსებულია საქვიშე, 3 საქანელა, აქვთ 3 ჰამაკი, ეზოში არის მეორადი და ბუნებრივი მასალით დამზადებული მაგიდა და სკამები, ბაღის თანმშრომლებს საკუთარი

ფანტაზიით და რესურსით შექმნილი აქვთ სენსორული ბილიკი, მუსიკალური ცენტრი და სივრცე დრამატული თამაშებისთვის;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ ,,ქ.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრი”-ს დირექტორის 2025 წლის 5 მაისის 45 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი”.

მარეგურილებელი წესის, მუხლი 5. საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა-თანახმად:

1. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს.

2. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს;

3. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს;

5. საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას;

6. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით კურიკულუმის ჩარჩოსთან ერთად;

7. დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის ბრძანება N43-1, საბავშვო ბაღის მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების დამტკიცების შესახებ, რომელსაც თან ერთვის დანართი;

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 7 აპრილის ბრძანება N35, საბავშვო ბაღებში საბავშვო წიგნების აღრიცხვის ჟურნალის დამტკიცების შესახებ.

ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა შესყიდვების მიღება-ჩაბარების აქტები;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა, ა(ა)იპ ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ დირექტორის 2025 წლის 5 ივნისის ბრძანება N65, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ;

წესში - მუხლი 4. დაწესებულების რესურსებით უზრუნველყოფის პარამეტრები - ს თანახმად: საგანმანათლებლო რესურსი განისაზღვრება დაწესებულებაში მოქმედი კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია დეკლარირებულ კურიკულუმში.

დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N45 ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი”.

მარეგურილებელი წესის, მუხლი 6. საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება -ს თანახმად:

1. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით.

2. საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:



3. საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება ყოველწლიურად პერიოდული ინვენტარიზაციის გზით, ხოლო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში როგორც წესი საჭიროებისამებრ.

4. ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის ამ მუხლით განსაზღვრული მექანიზმთან ერთად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსებისთვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი.

5. ამ მუხლით განსაზღვრული მექანიზმის გარდა, დაწესებულება ასევე იყენებს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს:

ა) მოგროვება;

ბ) დონაცია;

გ) დამზადება.

დაწესებულებამ ადგილზე ვიზიტისას, მტკიცებულებად წარმოადგინა საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების ჩატარებისთვის საჭირო, საგანმანათლებლო რესურსის მოთხოვნის და გახარჯვის ფორმის ნიმუშები.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია/მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია-საინვენტარიზაციო აღწერა - დეკემბერი 2024 წ.;

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 7 აპრილის ბრძანება N35, საბავშვო ბაღებში საბავშვო წიგნების აღრიცხვის ჟურნალის დამტკიცების შესახებ.

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანთელებლო რესურსის (საკანცალარიო მასალა, განმავითარებელი სათამაშოები, წიგნები) 2025 წლის მიღება-ჩაბარების აქტები.

ადგილზე ვიზიტისას, ვიზუალური დათვალიერებით დაწესებულებაში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ბუნებრივი და მეორადი მასალა. საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ისინი ამ რესურსს მშობელთა ჩართულობით და დონაციის სახით აგროვებენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

დაწესებულებამ, საშუალოდ განსაზღვროს, კურიკულუმის შესაბამისი, საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი: რა სახის და რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსის შეძენაა გათვალისწინებული ერთ ბავშვზე (სათამაშო, საკანცელარიო მასალა). რა პერიოდულობით, რა ფორმით უნდა მოხდეს, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო რესურსის განახლება/შესყიდვა.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N45 ბრძანებით, დამტკიცებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი" ; მარეგულირებელი წესში, მუხლი 7. გარემოს ფიზიკური მოწყობა-ს თანახმად:

1. დაწესებულების ფიზიკური გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს.

2. კურიკულუმის განხორციელების პროცესში, ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება: ა) ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე; გ) ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე; დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად.

3. დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბარწილად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.

დაწესებულებაში, ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა ფიზიკური გარემოს (ჯგუფური ოთახების, შიდა და გარე სივრცის) ვიზუალური დათვალიერება. ჯგუფის ოთახის კედლები ნეიტრალური ფერისაა, ჯგუფების ოთახები დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად (დრამატული, სამაგიდო, კუბურები, სენსორული, წიგნიერების, განმარტოების, ხელოვნების), შესაძლებელია მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებად. ჯგუფის ოთახში, ბავშვის სიმაღლის გათვალისწინებით, კედელზე მოთავსებულია ვიზუალური დღის განრიგი. ცენტრებს და კონტეინერებს აქვთ ვიზუალური მინიშნებები, ასევე ვიზუალური მინიშნებები განთავსებულია როგორც შიდა, ისე გარე სივრცეებში. ჯგუფის ოთახში განთავსებული ცენტრები, ხშირ შემთხვევაში მკაფიოდ გამოყოფილია ერთმანეთისგან (სამი მხრიდან), თუმცა გამყოფი თაროები/კარადები უსაფრთხოების თვალსაზრისით საჭიროებს უფრო მყარად მიმაგრებას. ჯგუფის ოთახებში კედელზე ვიზუალური მასალის (ჯგუფის წესები, ნახატები) განთავსებისას, გათვალისწინებულია ბავშვის სიმაღლე;

რესურსების უმრავლესობა (ქარხნული, მეორადი, ხელნაკეთი და ბუნებრივი) განლაგებულია ბავშვის სიმაღლის ღია კარადებში, ნაწილი კი მოთავსებული გამჭვირვალე კონტეინერებში. ჯგუფებში წარმოდგენილა სივრცე ბავშვების ნამუშევრებისთვის, რომელსაც თავად ბავშვები იყენებენ.

ჯგუფის ოთახების შესასვლელებში განთავსებულია საინფორმაციო დაფა მშობლებისათვის;

ბაღს არ აქვს დარბაზი, მუსიკალური აქტივობები ხორციელდება ჯგუფურ ოთახში, სადაც დგას მუსიკალური ინსტრუმენტი-პიანინო და სხვადასხვა სახის მუსიკალური ინსტრუმენტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დახურული სენსო-მოტორული აქტივობებისთვის დაწესებულებამ გადატიხროს და გამოყოს სივრცე საძინებელში, რომლის ფართი საკმაოდ დიდია (53 კვ.მ) და დგას 8 საწოლი.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებულ მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახურებოდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

ჯგუფური ოთახები აღჭურვილია მზა და მეორადი რესურსით, რომლებიც თემატურად არის ცენტრებში ორგანიზებული/განაწილებული. რესურსი უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია ღიად და ბავშვების სიმაღლეზე.

დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი მეტწილად არის ხელნაკეთი. ეზო არის აღჭურვილი ისეთი რესურსით, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახი მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის: ოთახი დაყოფილია ცენტრებად. ჯგუფურ ოთახებში წარმოდგენილია პრივატული ზონები, ,,წყნარი სივრცეები" - გამოყოფილი ფარდით, სადაც ბავშვებს აქვთ განმარტოვების საშუალება. ჯგუფური ოთახები იძლევა შესაძლებლობას დაიგეგმოს და განხორციელდეს აქტივობები, როგორც მცირე, ისე დიდ ჯგუფებთან. ჯგუფურ ოთახებში განლაგებულია მაგიდები და სკამები, რომლებიც საშუალებას იძლევა, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური აქტივობების დაგეგმვის შესაძლებლობას;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ .წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს დამტკიცებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი" ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N45 ბრძანებით.

მარეგულირებელ წესში მუხლი 8- ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები - ს თანახმად:

1. საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი დაკვირვებისა და წარმართვისათვის, დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა.

2. დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ შემდეგ მეთოდებს: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) მოკლე კითხვარები; გ) ჩექლისტები; დ) სკალები; ე) ცხრილების ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები.

3. შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით.

4. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების თანმიმდევრულობისთვის დაწესებულება მოქმედებს ამ მუხლის მე-5 და მე-5 პუნქტებით დადგენილი სისტემით.

5. დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

6. ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების იყენებს გარეთ არსებულ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის და სხვ.) მომსახურებას.

7. ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია;

8. ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, ხოლო ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის მონაწილეობით, დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.

9. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს; ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

იმავე წესის თანახმად, შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით. მტკიცებულებად დანართი N1 თანდართულია ,,ბავშვის შეფასების ფორმა", თუმცა ფორმა არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. რადგან არ არის ველი სადაც დატანილი იქნება ინფორმაცია, ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების

შესახებ, არ არის ველი ბავშვის განვითარების სფეროების მიხედვით შეფასებისთვის. ფორმაში მხოლოდ განსაზღვრულია შეფასების მიზანი, განმახორციელებელი, განხორციელების სიხშირე, შესაძლო მტკიცებულება, ტიპი; საგანმანათლებლო პერსონალმა, ადგილზე ვიზიტისას მტკიცებულებად წარადგინა ,,განვითარების კითხვარი ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით", ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის, მაგრამ აღნიშნული ჩექ-ლისტები არ არის დამტკიცებული წესის თანახმად.

ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულებამ ასევე ვერ წარმოადგინა, დაკვირვების ფორმების ბრძანებით დამტკიცებული ფორმა.

ადგილზე არსებული საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოების დათვალიერებისას და საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში არსებობს ბავშვზე ობიექტური დაკვირვების ფორმები.

დაწესებულებამ ადგილზე მტკიცებულებად წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის წერილი N47 - 17.07.2025 წ. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელთან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის დაკვირვება/შეფასებისთვის საჭირო სპეციალური ცოდნისა და კომპენტეციის პირის ჩართულობასთან დაკავშირებით - კერძოდ მერიის სისტემაში შექმნილი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პერსონალის ჩართულობის თხოვნით. დაწესებულებამ ასევე მტკიცებულებად წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, ბავშვთა აბილიტაცია რეაბილიტაციის ცენტრის მზაობის წერილი, სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრთან თანამშრომლობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულების მხრიდან ბავშვზე დაკვირვების და შეფასების წარმოება უნდა მოხდეს მარეგულირებელ წესში გათვალისწინებული მეთოდოლოგიის მიხედვით. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები, ინდივიდუალური განვითარების გეგმის ფორმა დამტკიცებულ იქნას, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის გამოსწორებისათვის შესაბამისობის გეგმა. კერძოდ, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულება შეიმუშავებს მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულ ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმებს, რომელიც უნდა ასახავდეს ჯგუფის საჭიროებებს/ინტერესებს და დამტკიცდება ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის მიერ ბრძანებით. წარმოდგენილი შესამაბისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 10/02/2026 წელი. აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა წარმოდგენილი პოზიცია და სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი” ,რომელიც დამტკიცებულია, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N45 ბრძანებით.

მარეგულირებელ წესში, მუხლი 8. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები მეხუთე პუნქტის თანახმად:

- დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

- ბავშვზე დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი;
- ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით. არსებობისას, საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების გარეთ არსებულ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის და სხვ.)
- ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია;
- ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, ხოლო ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის მონაწილეობით, დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.
- ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს; ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

ადგილზე ვიზიტისას, მეთოდისტთან და აღმზრდელეთან გასაუბრების საფუძველზე გამოვლინდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი გამოიყენებს ბავშვის შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს: გააკეთებს ჩანაწერებს, მოკლე კითხვარების ჩეკლისტებს, ცხრილებს, აწარმოებს პორტფოლიოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი", რომელიც დამტკიცებულია, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N45 ბრძანებით.

მარეგურილებელი წესის თანახმად:

- ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, ხოლო ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის მონაწილეობით, დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.
- ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

  ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

  ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

  გ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;

  დ) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N45 ბრძანებით დამტკიცებულია საბავშვო ბაღების ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“;

მარეგურილებელი წესის, მუხლი 9. ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა - ს თანახმად:

1. დაწესებულება/ბაღი უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას.

2. ბავშვის შეფასების შედეგები განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

ადგილზე ვიზიტისას მეთოდისტთან და აღმზრდელთან გასაუბრებისას, გამოვლინდა, რომ ბავშის დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გაცნობის მიზნით, საგანმანათლებლო პერსონალი გარკვეული პერიოდულობით გეგმავს ინდივიდუალურად მშობლებთან შეხვედრას, მიღწეულ შედეგების გაცნობას, საგანმანათლებლო პროცესში მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობას. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ინდივიდუალური შეხვედრებისთვის, შესასვლელში გამოყოფილია სივრცე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N6 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N45 ბრძანება საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ;
2. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 30 სექტემბრის ბრძანება N107 - ქ. ჯვარის N5 საბავშვო ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების დამტკიცების შესახებ.
3. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანება 2025 წლის 30 სექტემბრის ბრძანება N112 - მეთოდისტის წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ.
4. აღმზრდელის პორტფოლიოები (დღის განრიგი, კურიკულუმის შესაბამისი გეგმის ფორმები)
5. ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია;
6. დანართი N13 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 ივნისის ბრძანება N65 ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ;
7. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის ბრძანება N43-1, საბავშვო ბაღის მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების დამტკიცების შესახებ.
8. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 7 აპრილის ბრძანება N35, საბავშვო ბაღებში საბავშვო წიგნების აღრიცხვის ჟურნალის დამტკიცების შესახებ.
9. მიღება/ჩაბარების აქტები;
10. ფოტომასალა:

შეფასება:

2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 20 მარტის ბრძანება N30 საბავშვო ბაღების კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;

მუხლი 4. კურიკულუმის შეფასება და განვითარება - ს თანახმად:

1. კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად ინერგება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები.

2. კურიკულუმის შეფასება ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ.

3. კურიკულუმის შეფასებისთვის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი.

4. კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება: ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას: ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას; გ) მშობლების უკუკავშირს; დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას; ე) სხვა

5. საგანმანათლებლო პროცესის შეფასება გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის სხვადასხვა მახასიათებლის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ამ ინფორმაციის ანალიზს იმის დასადგენად, თუ რამდენად უწყობს ხელს პროცესის სხვადასხვა კომპონენტები კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

6. საგანმანათლებლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენება: ა) საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვზე დაკვირვების შედეგების ანალიზი; ბ) ბავშვების პორტფოლიოების ანალიზი; გ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია; დ) მშობლების უკუკავშირი; ე) განხორციელებული აქტივობების ანალიზი; ვ) რუტინებისა და ტრანზიციების ანალიზი; ზ) გეგმებისა და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისთვის გამოყოფილი დროის მოცულობის ანალიზი; ვ) საგანმანათლებლო პროცესში ბავშვების ჩართულობის ხარისხის ანალიზი; ზ) გამოყენებული მიდგომებისა და სტრატეგიების ანალიზი; კ) სხვა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული შეფასებისათვის დაწესებულებას შექმნილი აქვს/იყენებს მზა სახის ცხრილებს/ კითხვარებს/ დაკვირვების ჩანაწერებს/ პორტფოლიებს და სხვ.

8. ფიზიკური გარემოს შეფასება გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას იმის შესახებ, თუ რამდენად უწყობს ხელს ფიზიკური გარემო და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის მიზნების მიღწევას.

9. ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის ხორციელდება: ა) ჯგუფური ოთახების/დაწესებულების შიდა სივრცის მოწყობა/გამოყენების ანალიზი; ბ) ეზოს/გარე სივრცის მოწყობა/გამოყენების ანალიზი.

10. ფიზიკური გარემოს შეფასებისთვის გამოიყენება: ა)საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ჯგუფზე დაკვირვების შედეგების ანალიზი; ბ) ბავშვების პორტფოლიოების ანალიზი; გ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსია; დ) მშობლების უკუკავშირი; ე) სხვ.

11. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული შეფასებისათვის დაწესებულებას შექმნილი აქვს/იყენებს ინსტრუმენტს/ცხრილებს/რუბრიკებს.

12. მშობლებისგან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება: ა) კითხვარები; ბ) ღია შეხვედრები/დისტანციური შეხვედრები; გ) სოციალური მედიის პლატფორმები; დ) შენიშვნის/წინადადების ყუთი; ე) ყოველწლიური თვითშეფასების შედეგები; ვ) სხვ. სახის შეფასების

13. საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიების ანალიზისთვის გამოიყენება საგანმანათლებლო პერსონალის მიერ წლის განმავლობაში გაკეთებული თვითრეფლექსიები.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის ბრძანება N45-5, საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პროცესის შეფასების გუნდის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულებაში ვიზიტისას, შესასვლელ სივრცეში განთავსებული იყო ,,შენიშვნების და ინიციატივების ყუთი“ , მშობლების უკუკავშირისთვის. საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოში განთავსებულია თვითრეფლექსიის ფორმები.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა მონიტორინგის ფორმები, რომელსაც აწარმოებს გამგე და მეთოდისტი, გეგმაში გათვალისწინებული ინტენსივობით. უმეტესად მოხდება დღის მანძილზე აქტივობებზე დაკვირვება და გამოვლენილი შედეგის ოქმის სახით წარმოება;

დაწესებულებას კურიკულუმის შეფასება და განვითარება შეტანილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 2.3 და შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 11 თვე. მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის შეფასება ხორციელდება ყოველ 2 წელიწადში ერთხელ დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ., თუმცა დაწესებულებას არ ყავს შექმნილი კურიკულუმის შეფასების სამუშაო ჯგუფი. ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შეფასება ჯერ არ განხორციელებულა, რაც განპირობებულია იმით, რომ დადგენილი ვადა ჯერ არ დამდგარა. ადგილზე ვიზიტის დროს და დოკუმენტაციის შესწავლით, გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას უკვე აქვს შემუშავებული, მაგრამ არ აქვს ბრძანებით დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტი, რაც ადასტურებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკის განხორციელებისთვის მზადყოფნას. ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ კომპონენტი დაკმაყოფილებულია და სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 20 მარტის ბრძანება N30, საბავშვო ბაღების კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;

მუხლი5. კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება - ს თანახმად:

1.კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები.

2. კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი.

3. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) თემატური მიმართულებების მიხედვით კონკრეტული სამიზნე შინაარსის ცვლილებას; ბ) კურიკულუმის მიზნების დაზუსტებასა და რეფორმულირებას; გ) ბავშვზე დაკვირვების კონკრეტული ინსტრუმენტის შეტანას; გ) საგანმანათლებლო რესურსის შეცვლას/გამრავალფეროვნებას; დ) ფიზიკური გარემოს გადაწყობა /გამრავალფეროვნებას; ე) ცვლილებებს ბავშვების მახასიათებელების გათვალისწინების მიდგომებში; ვ) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობის შეცვლას; ზ) ცვლილებებს დროით გარემოში (დღის განრიგში); ი) ცვლილებები ოჯახის და თემის ჩართულობის ნაწილში; კ) კურიკულუმის გაზიარების მექანიზმის სრულყოფას; ლ) სხვა.

4. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შედის ცენტრის დირექტორის ბრძანებით.

5.კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) კურიკულუმის შეცვლას; ბ) შექმნილ კურიკულუმში ახალი კურიკულუმის დამატებას/ ან ამოღებას .

6. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შედის შემდეგი ეტაპების დაცვით: ა) ამ წესით დადგენილი ეტაპების დაცვით ახალი კურიკულუმი შერჩევა; ბ) ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესის პროგრამის დამატების გავლა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N5 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 20 მარტის ბრძანება N30 - საბავშვო ბაღების კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
2. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისის ბრძანება #45-5 - საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პროცესის შეფასების გუნდის განსაზღვრის შესახებ.
3. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

შეფასება:

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის ბრძანება N16 საბავშვო ბაღების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ; აღნიშნული წესის მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრული აქვს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობის პროცესი და საკომუნიკაციო აუდიტორიის შერჩევის პრინციპები. კერძოდ, მე-2 მუხლის მიხედვით დაწესებულების მიერ საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

ა) სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა;

ბ) საკომუნიკაციო არხების შერჩევა;

გ) საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა;

დ) კომუნიკაციასთან დაკავშირებული პასუხიმგებლობების გადანაწილება;

ე) განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა;

ვ) კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის მექანიზმების განსაზღვრა.

აღნიშნული წესის მიხედვით საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ღონისძიებების/აქტივობების დასახელება, სამიზნე აუდიტორია, ღონისძიების შინაარსი, პასუხისმგებელი პირები, საკომუნიკაციო არხები, განხორციელების ვადები.

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა, რომელშიც გაწერილია შემდეგი კომპონენტები: ბაღების გაერთიანებასთან კომუნიკაცია, მშობლებთან კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესება, ოჯახთან/თემთან შეხვედრები, სეზონური აქტივობების დაგეგმვა, კურიკულუმის გაცნობა მშობლებთან, დაგეგმილი პროცესების განხილვა, შეხვედრები გაერთიანების წარმომადგენლებთან და ბაღის გამგეებთან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება; ტრენინგი: ბავშვთა უფლებები, ბავშვთა განათლება; მშობელთან ბავშვის შეფასების გაცნობა; დაწესებულების სამოქმედო გეგმის გაცნობა; წლიური ანგარიშის პრეზენტაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის ბრძანება N16 საბავშვო ბაღების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მშობლებისა და თემის წარმომადგენლების მონაწილეობას ბაღის საქმიანობაში, მათ შორის კურიკულუმით

გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში როგორც შიდა, ისე გარე სივრცეში. დოკუმენტში მითითებულია მშობელთა ჩართულობა ბავშვის განვითარების პროცესში, შეფასების შედეგების გაცნობასა და აქტივობების დაგეგმვაში, ურთიერთობა თემში მოქმედ ოგანიზაციებთან. ადგილზე ვიზიტისას გამგესთან და საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში ხშირად დაიგეგმება სხვადასხვა ტიპის აქტივობა, მშობელთა ჩართულობის და წახალისების მიზნით.

მტკიცებულებად წარმოდგენილია ფოტო/ვიდეო მასალა;

დაწესებულებამ წარმოადგინა სოციალური ქსელის ბმული

https://www.facebook.com/profile.php?id=100048263136639&rdid=drDI4p9mKJNRvD5U&share_url=https%3A%2F%2Fwww.facebook.com%2Fshare%2F1BBRdoxivR%2F#

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის ბრძანება N16 საბავშვო ბაღების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ;

ამავე წესის მუხლი 4. საკომუნიკაციო არხების შერჩევა -ს თანახმად:

1. საკომუნიკაციო არხების შერჩევის პროცესში დაწესებულება ხელმძღვანელობს მისი გეოგრაფიული მდებარეობის, თემის სოციალური ჩვევებისა და დაწესებულების შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

2. საკომუნიკაციო არხების შერჩევისას დაწესებულება ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) სამიზნე აუდიტორიის საჭიროებები; ბ) რესურსების (მათ შორის ფინანსური) ხელმისაწვდომობა; გ) კომუნიკაციის შინაარსი და სიხშირე; დ) უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა; ე) კონფიდენციალურობის დაცვის შესაძლებლობა (საჭიროების შემთხვევაში); ვ) სამიზნე აუდიტორიის კულტურული და ლინგვისტური სპეციფიკა;

3. დაწესებულების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო არხებია: ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის/პლატფორმების გამოყენებით; (google meet, Zoom, Teams, whatsapp, Messenger). გ) მატერიალური კორესპონდენცია; დ) საინფორმაციო დაფები; ე) მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ვ) სატელეფონო ზარები; ზ) ელექტრონული ფოსტა; თ) დაწესებულების სოციალური მედიის პლატფორმები; ი) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.

ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულების ფიზიკური გარემოს დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ჯგუფის ოთახთან, კედელზე განთავსებული მშობელთა საინფორმაციო დაფები, საჭიროების შემთხვევაში ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გაცნობის მიზნით აღმზრდელ- პედაგოგებისა და და სხვა საგანმანათლებლო პერსონალის მონაწილეობით იგეგმება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები; მშობლებთან კომუნიკაციის მიზნით ასევე იყენებენ სატელეფონო ზარებს, დახურულ ჯგუფებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანება 2025 წლის 7 თებერვლის ბრძანება N16 საბავშვო ბაღების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ;
2. სოციალური ქსელის ბმული https://www.facebook.com/profile.php?id=100048263136639&rdid=drDI4p9mKJNRvD5U&share_url=https%3A%2F%2Fwww.facebook.com%2Fshare%2F1BBRdoxivR%2F#
3. ვიზუალური დათვალიერების შედეგები
4. ინტერვიუ

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოადგენილი საკომუნიკაციო გეგმის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის N16 ბრძანებით, წინასწარ არის გაწერილი ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან შეხვედრის მიზნები, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილია მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშის ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სფეციფიკასთან დაკავშირებით.

შესაბამისი თემები და აქტივობები გაწერილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმაში (ტრენინგები: ბავშვთა უფლებები, ბავშვთა განათლება).

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრს დირექტორის 2025 წლის 5 მაისის N45 ბრძანებით, დამტკიცებული აქვს ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი" ; მარეგულირებელი წესში მე-9 მუხლის- ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა- ს თანახმად:

1. დაწესებულება/ბაღი უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას.
2. ბავშვის შეფასების შედეგები განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

საგანმანათლებლო პერსონალი პერიოდულად მშობლებს/კანონიერი წარმომადგენლებს გაუზიარებს ბავშვზე დაკვირვების შედეგად შეგროვებულ ინფორმაციას და შეფასების შედეგებს. შეფასების შედეგების გაცნობა მოხდება ინდივიდუალურად. აღმზრდელი მშობელს გაუზიარებს ბავშვის პორტფოლიოში თავმოყრილ დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის განვითარების სტანდარტის შესაბამის შეფასებებს და ნამუშევრებს, რომელშიც კარგად ჩანს ბავშვის სხვადასხვა უნარის განვითარება. მიიღებს უკუკავშირს და გაითვალისწინებს სამომავლო აქტივობებში მშობლის თანადგომას.

მშობლები ინფორმირებული იქნებიან ბავშვის შეფასების შედეგების შესახებ, რაც დასტურდება აღმზრდელთან ინტერვიურებისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის ბრძანება N16 საბავშვო ბაღების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ და 21 ივნისის N77 ბრძანება ქალაქ ჯვარის N5 საბავშვო ბაღის საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ, რომელთა მიხედვით დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალიწინებული აქტივობების განხორციელებისას, მაგალითად, საგანმანათლებლო პერსონალი გეგმავს თემატურ აქტივობებს თემში არსებული რესურსის გამოყენებით: ექსკურსიების მოწყობა, ბაღში სხვადასხვა ორგანიზაციაში დასაქმებულ პირების მოწვევა (მაგალითად-ექიმის ვიზიტი ბაღში). ბავშვის სკოლაში ტრანზიციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით ბაღი აქტიურად იყენებს ქალაქში არსებულ სკოლას, ასევე დაწესებულებას წინასწარ აქვს გათვლილი პროექტები: ბიბლიოთეკა, სკოლა, მუზეუმი და ამისათვის აქტიურად იყენებს თემში არსებულ რესურსებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის ბრძანება N16 საბავშვო ბაღების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ; ამავე წესის, მუხლი 6 - განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა-ს თანახმად:

1. კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის დაწესებულება იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს:

   ა) კითხვარები;

   ბ) შენიშვნების/წინადადების ყუთი;

   გ) ღია შეხვედრები;

   დ) სოციალური მედიის მონიტორინგი;

   ე) კომუნიკაციის კონკრეტული არხით მოსარგებლეთა რაოდენობის მონიტორინგი;

   ვ) სამიზნე აუდიტორიისგან უკუკავშირის მიღების სიჩქარის შემოწმება.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ დაწესებულება გეგმავს განახორციელოს ცვლილებები მშობელთა/თემის წარმომადგენელთა უკუკავშირისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია უახლოეს გეგმიურ ციკლში (შემდგომი გრძელვადიანი დაგეგმვის ეტაპზე), რაც მეთოდოლოგიის მიხევით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანება 2025 წლის 7 თებერვლის ბრძანება N16 - საბავშვო ბაღების საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ;
2. დანართი N6 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 მაისი N45 ბრძანება - ,,საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი"-ს დამტკიცების შესახებ
3. ოჯახთან/თემთან თანამშრომლობის ამსახველი დოკუმენტები/პროცესები;

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ორგანიზაციის სტრუქტურა/ორგანოგრამა, სადაც გაწერილია სტრუქტურული ერთეულები/პირები, წარმოდგენილია საშტატო ნუსხა, დასაქმების პოზიციებისა და ფუნქციების მითითებით რაოდენობრივად, რაც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. დაწესებულების ორგანოგრამა გამომდინარეობს დაწესებულების საშტატო ნუსხიდან, რომელიც მტკიცდება ცენტრის დირექტორის მიერ მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით (2025 წლის 5 აგვისტოს ბრძანება N126.126252171). ბაღში ჰყავთ საკმარისი რაოდენობის პერსონალი, შესაბამისი კომპეტენციით და კვალიფიკაციით, ისინი პასუხისმგებლები არიან ცალკეული პროცესების განხორციელებაზე. ბაღს ყავს 10 თანამშრომელი:

1. გამგე
2. აღმზრდელ პედაგოგი
3. აღმზრდელი
4. სპეციალური ასისტენტი
5. მუსიკის მასწავლებელი
6. მზარეული
7. მზარეულის თანაშემწე
8. ექთანი
9. მნე
10. მრეცხავი

დაწესებულებას ასევე ყავს საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული 8

თანამშრომელი,

1. აღმზრდელის თანაშემწე
2. მზარეულის თანაშემწე
3. ჭურჭლის მრეცხავი
4. დამლაგებელი
5. მეეზოვე
6. მუშა
7. დარაჯი - 2

რომლებიც ხელს უწყობენ დაწესებულებაში პროცესების მდგრად და უწყვეტ ფუნქციონირებას

დაწესებულებაში დაცულია აღმზრდელების თანაფარდობა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებაში,

ცენტრის დირექტორის 2025 წლის 27 მაისის N58 ბრძანებით დამტკიცებულ შინაგანაწესში (მუხლი 14) და 2025 წლის 6 მაისის N48 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში (მუხლი 7) მითითებულია, რომ თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება 2025 წლის 7 თებერვალს დამტკიცებულ N14 ბრძანებით - ბაღის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები.

რაც შეეხება ინდიკატორის მეორე მოთხოვნას ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინების მიზნით, დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ აღნიშნულ მომსახურებას სსს მქონე ბავშვებს უწევს გარე წყარო (ცენტრის ფსიქოლოგი, მეთოდისტი, სარეაბილიტაციო ცენტრი), რაც დაწესებულებას გაწერილი აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის წესში (2025 წლის 5 მაისის ბრძანება N45). დაწესებულება პერსონალის მდგრად ფუნაციონირებას და ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებების უზრუნველყოფას არეგულირებს პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი (ბრძ. N48, 06/05/2025წელი) და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი (ბრძ N45, 05/05/25 წელი).

დაწესებულებამ ადგილზე მტკიცებულებად წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის 2025 წლის 17 ივლისის წერილი N47 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელთან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის დაკვირვება/შეფასებისთვის საჭირო სპეციალური ცოდნისა და კომპენტეციის პირის ჩართულობასთან დაკავშირებით - კერძოდ მერიის სისტემაში შექმნილი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პერსონალის ჩართულობის თხოვნით. დაწესებულებამ ასევე მტკიცებულებად წარმოდგენილია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, ბავშვთა აბილიტაცია რეაბილიტაციის ცენტრის მზაობის წერილი, სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრთან თანამშრომლობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი იყოს კონკრეტულად საბავშვო ბაღის საშტატო ნუსხა დასაქმების პოზიციების, ფუნქცია-მოვალეობებისა და რაოდენობის მითითებით.

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების სამუშაო აღწერილობა, რომელიც დამტკიცებულია ცენტრის დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის N14 ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის სისტემაში დასაქმებულთა ძირითადი მოვალეობები, რომელიც მკაფიოდ არის გამიჯნული, სამუშაოს ტიპი, ანგარიშვალდებულება, ადგილმდებარეობა, სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად საჭირო კვალიფიკაცია და კომპეტენციები და სხვა. ეს დასტურდება თანამშრომლებთან ინტერვიუთიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების სამუშაო აღწერილობა, რომელიც დამტკიცებულია ცენტრის დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის N14 ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული და დადგენილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასევე წარმოდგენილია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის N36 დადგენილება „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“. დადგენილი კვალიფიკაცია შესაბამისია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. ადგილზე

ინტერვიუთ და პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას დადასტურდა, რომ პრსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. და აქვთ შესაბამისი დოკუმენტაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვთან მომუშავე 1 აღმზრდელს და ექთანს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია და შესაბამისად აქვთ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი. მაგრამ საბავშვო ბაღში მომუშავე სხვა პერსონალს არა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს და უზრუნველყოს ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციით.

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის გამოსწორებისათვის შესაბამისობის გეგმა. კერძოდ, ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადებას პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციით. წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად განისაზღვრა 10/09/2026 წელი. აღნიშნული შესაბამისობის გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა წარმოდგენილი პოზიცია და სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

.....

.....

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 6 მაისის N48 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი და ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 27 მაისის N58 ბრძანებით დამტკიცებული შრომის შინაგანაწესი. აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაშია

კანონმდებლობის მოთხოვნებთან და არეგულირებს იმ ძირითად საკითხს, რაც დაკავშირებულია პერსონალის მართვასა და განვითარებასთან. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება „ საქართველოს შრომის კოდექსი“-ს შესაბამისად, აერთიანებს ყველა სავალდებულო პუნქტს: დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოები (ფუნქციები), მხარეთა უფლება-მოვალეობები, სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო, შვებულება, შრომითი ურთიერთობის შეჩერება, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულების შეწყვეტა,დავის სამართლებრივი გადაწყვეტა და სხვა. ადგილზე ვიზიტისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ პერსონალი იცნობს შრომის შინაგანაწესს, გაფორმებულ ხელშეკრულებას და პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტს. ინტერვიუს დროს გამგესთან და გაერთიანების წარმომადგენელთან იკვეთებოდა დადგენილი წესის შესაბამისად პერსონალის მართვის მიდგომები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს აღმზრდელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების დრაფტი, სადაც „დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოები (ფუნქციები)“-განსაზღვრულია საკონტაქტო და არასაკონტაქტო დრო და აღნიშნულია, რომ

ის გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესის დასაგეგმად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შესაბამის პერსონალთან გამოყენებული იქნება ხელშეკრულების ის ვერსია, რაც დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი მტკიცებულების სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები რეგულირდება ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 6 მაისის N48 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით. აღნიშნული წესის მუხლი 8 და მუხლი 9, არეგულირებს პერსონალის შერჩევასთან, დანიშვნასთან და პერსონალის კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნულ წესში განსაზღვრულია, რომ გაერთიანების დირექტორის გადაწყვეტილებით, პირი ინიშნება ვაკანტურ თანამდებობაზე პირდაპირი გზით. პირდაპირი დანიშვნის გზით პერსონალის შერჩევის დროს, გაერთიანება ეყრდნობა ვაკანტური პოზიციის მიმართ დადგენილ სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რისთვისაც კანდიდატთან ტარდება გასაუბრება. ამავა წესში აღნიშნულია, რომ პერსონალის შერჩევის პროცესი არის მკაფიო, თანმიმდევრული

და გამჭვირვალე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური და შესაბამისი კადრების მოზიდვას და შერჩევას, დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს აქვს ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი (2025 წლის 12 მაისის ბრძანება N52).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის საკითხებს არეგულირებს ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 6 მაისის N48 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და 2025 წლის 26 აგვისტოს N91 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის შერჩევის, დანიშვნისა და ადაპტაციის წესი. წესებში განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმი, სადაც გაწერილია შემდეგი:

იმისათვის, რომ გაერთიანების მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, რომ მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, გაერთიანება ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე.

ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია:

ა) ახალი თანამშრომლისთვის გაერთიანების მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის გაცნობა;

ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან;

გ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა/გარკვევა;

დ) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა;

ე) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება;

ვ) გამოცდილი თანამშრომელი უზიარებს ახალ თანამშრომელს საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას და ეხმარება მას სწრაფად ადაპტირდეს დაწესებულებაში;

ზ) უკუკავშირის კულტურის გაძლიერება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია თანამშრომლობით და გუნდური მუშაობის პრინციპზე, რაც იკვეთება დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში. დაწესებულებას გაცხადებული აქვს,

რომ გუნდურობა არის მისი ერთ-ერთი ღირებულება, ხოლოდ ხედვაში გამოტანილი აქვს როგორც ბავშვების, ასევე თანამშრომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, რომელიც ასევე მოიაზრებს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და განვითარებას. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის/ადაპტაციის მექანიზმი, რომელიც მრავალფეროვან ეტაპებსა თუ აქტივობებს მოიცავს. ადგილზე ვიზიტის და ინტერვიუს დროს, თანამშრომლები ერთმანეთის მიმართ ავლედნენ გულისხმიერ და კოლეგიალურ დამოკიდებულებას, დაწესებულებაში მოქმედებს გუნდური მუშაობის პრინციპი, რაც ასევე ვლინდება სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებაში, რომელიც დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ხორციელდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის განვითარების მიზნით, პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და საჭიროებათა მოკვლლევის საკითხები რეგულირდება ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 6 მაისის N48 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით, სადაც თავი IV „შესრულებული სამუშაოს მართვა" მე-19

მუხლში განსაზღვრულია საჭიროებათა მოკვლევის საკითხები. აღნიშნული წესის თანახმად: გაერთიანება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე გაერთიანება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს.

გაერთიანების მიერ განხორციელებული შეფასების პროცესის მხარეები არიან შესაფასებელი პირი, შემფასებელი პირი და გაერთიანების დირექტორი. შეფასებას ექვემდებარება გაერთიანების ყველა თანამშრომელი, გარდა, ადაპტაციის პერიოდში მყოფი თანამშრომლისა. ასევე შეფასებას არ ექვემდებარება ტექნიკური სამუშაოების შესასრულებლად დაქირავებული თანამშრომელი და გარე სერვისები.

გაერთიანების შეფასების სისტემა ითვალისწინებს თანამშრომლეთა დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხის შეფასებას, რომელიც ასევე მოიცავს: პროცესზე დაკვირვებას, შეფასებას უშუალო ხელმძღვანელის მიერ და სხვ.

ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული საჭიროებათა მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპები:

ა) დაგეგმვა;

ბ) შეფასების/საჭიროებათა მოკვლევის განხორციელება;

გ) შედეგების ანალიზი.

ამავე წესში განსაზღვრულია, რომ დაწესებულება საჭიროების მოკვლევას ახორციელებს შემდეგი გზებით: კითხვარი, თვითშეფასება და სხვ.

დაწესებულებამ შეუსაბამოდ მიიჩნია 4.1 კომპონენტი - პერსონალის მართვა განვითარება და ამ მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და აღნიშნული კომპონენტის შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადად მონიშნა 11 თვე (მეტწილი). ადგილზე ვიზიტის და ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ 1 აღმზრდელის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და ესაჭიროება პროფესიული განვითარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.

.....
.....

რჩევა

.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 6 მაისის N48 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტში, (მუხლი 20). თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება-არეგულირებს პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სადაც აღნიშნულია, რომ პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას გაერთიანება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. გაერთიანება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი მეთოდები:

ა) ტრენინგი;

ბ) ქოუჩინგი;

გ) მენტორინგი;

დ) პროექტები;

ე) სამუშაოს გამრავალფეროვნება;

ვ) თვითგანვითარება;

ზ) კონსტრუქციული უკუკავშირი;

თ) სხვა.

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია გაერთიანების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან.

ამ ეტაპზე პროცესის დამადასტურებელი კონკრეტული მტკიცებულები შექმნილი არ არის, ხოლო სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცებული იქნა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 2 მაისის №41 ბრძანებით, ინტეგრირებულია პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტრენინგ-კურსების ორგანიზება. ინტერვიის დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია აღნიშნული წესს დააფუძნოს პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 6 მაისის N48 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებს, რაც გამოიხატება:

ა) ინიციატივის განხორციელებისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფით;

ბ) ინიციატივის განხორცილებისათვის სამუშაო ჯგუფის და გარემოს ორგანიზება;

გ) სხვადასხვა დაწესებულებებთან კომუნაკაცია;

დაწესებულებაში ვიზიტისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ორიენტირებულია პერსონალის მართვის წესისა და მექანიზმის შესაბამისად განახორციელოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების განხორციელება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დანართი N9 - ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 6 მაისის N48 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესი;
2. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 26 აგვისტოს N91 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის შერჩევის, დანიშვნისა და ადაპტაციის წესი

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 5 აგვისტოს დამტკიცებული ბრძანება N126.126252171
4. დანართი N8 - დაწესებულების ორგანოგრამა;
5. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 7 თებერვლის N14 ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობა;
6. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება ;
7. პირველადი სამედიცინო დახმარების დამადასტურებელი სერტიფიკატი
8. დანართი N10 - შინაგანაწესი
9. შრომითი ხელშეკრულებები;
10. თამანშრომელთა პირადი საქმის ნუსხა;
11. ადგილზე ვიზიტი/ ინტერვიუ
12. საშტატო განრიგი

შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილია ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 3 ივლისის N72 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს დაწესებულების იდენტიფიცირებულ მართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს და მათ აღმწერებს, რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების მექანიზმსა და სამოქმედო გეგმას, შეფასების განხორციელებისა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

მმართველობით პროცესად განსაზღვრული აქვს

- სტრატეგიული დაგეგმვა
- ხარისხის უზრუნველყოფა;

ძირითად პროცესად განსაზღვრული აქვს:

- კურიკულუმის შერჩევა, განხორციელება, შეფასება და განვითარება;
- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;
- საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფა;
- ბავშვების რაოდენობის მართვა;(რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა)
- სსსმ ბავშვების მომსახურება;
- მშობლებთან და თემთან ურთიერთობა;
- ეთნიკური უმცირესობების სპეციფიკა;

დამხმარე პროცესებად განსაზღვრული აქვთ:

• პერსონალის მართვა და განვითარება;

• მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა;

• საქმისწარმოება;

• პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრხოება;

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი პროცესების მართვას უზრუნველყოფს ხარისხის ციკლის შესაბამისად, რაც დასტურდება ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 3 ივლისის N72 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმეტით, რომელიც მოიცავს პროცესების აღმწერებს, რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის ფორმას. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით გაერთიანებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაერთიანება რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას ახდენს ყოველწლიური თვითშეფასების საფუძველზე, რომლის განუყოფელი ნაწილია

დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა/უკუკავშირი. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ავლენდა საკითხის ცოდნას და მზაობას წესის შესაბამისად პროცესის განხორციელებისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 მაისის N61 ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესის მე-3 მუხლით ბავშვის რეგისტრაცია ხორციელდება პირველადი ელექტრონული რეგისტრაციის სახით google Forms საშუალებით (28 მაისის ბრძანება N62), 2025 წლის 28 მაისის N63 ბრძანება არგულირებს ბავშვთა ჩარიცხვა - ამორიცხვის პერიოდულობას/ვადებს (მუხლი 4), ჩარიცხვა-ამორიცხვის წინაპირობას, ჯგუფის დაკომპლექტებას, რეგისტრაციის შეჩერებას, ჯგუფის შექნას და სხვა. გაერთიანება ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესს ახორციელებს შერეული სისტემით - პირველადი ელექტრონული რეგისტრაციის სახით google Forms საშუალებით, რეგისტრაციის შემდეგ (ფორმა თან ერთვის წესს დანართი 1-ის სახით) მომდევნო ეტაპია ელექტრონულად რეგისტრირებული ბავშვის ჩარიცხვა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჭირო დოკუმენტების დაწესებულებაში მატერიალური ფორმით წარმოდგენით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 მაისის N61 ბრძანებით დამტკიცებულია ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი, რომელიც ასევე არეგულირებს ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესს. აღნიშნული წესის თანახმად, ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებისთვის სტრუქტურულ ერთეულებში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სახელზე;

ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

ე) ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა;

ვ) ბავშვის ფოტოსურათი 3x4;

ზ)ცნობა ოჯახის სოციალურად დაუცველთა სტატუსის შესახებ

თ)მხარდამჭერის არსებობის შემთხვევაში მხარდამჭერის პირადობისა და შესაბამისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;

ი)სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კ) მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;

ლ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელექტრონული ფოსტა;

მ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე;

ნ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის);

